ცნობა

ქეთევან ციხელაშვილი დაიბადა 1978 წლის 21 აგვისტოს;

1999 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი; 2000 წელს – ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის (უნგრეთი) საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროპული კვლევების მაგისტრატურა; არის სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი;

1996-1998 წლებში იყო გაეროს ახალგაზრდული ორგანიზაციის საქართველოს განყოფილების (UNOY) პროექტების ასისტენტი;

1998 წელს – სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო ორგანიზაციის დირექტორის თანაშემწე;

1998-1999 წლებში მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრში მთავარ სპეციალისტად;

2002-2004 წლებში – კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევით ცენტრში (ICCN) პროგრამის მენეჯერად და უფროს ანალიტიკოსად;

2000-2001 წლებში იყო ელექტრონული ჟურნალ Transition Online-ის რედაქტორის თანაშემწე;

2001 წელს მიწვეული იყო მკვლევარ-თანაშემწედ უმცირესობის სკითხთა ევროპულ ცენტრში (ECMI) – გერმანია; 2002 წელს – ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პოლიტიკისა და თავდაცვის სამმართველოს მკვლევარ-თანაშემწედ (ბრიუსელი);

2001-2002 წლებში იყო ჰამბურგის უნივერსიტეტის (გერმანია) ეუთოს კვლევის ცენტრის (CORE) მკვლევარი;

2004-2006 წლებში მუშაობდა კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში სახელმწიფო მინისტრის თანაშემწედ და საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროს სპეციალისტად;

2007-2009 წლებში იყო ევროპის სტაბილურობის ინიციატივის (ESI) ანალიტიკოსი საქართველოში;

2002-2010 წლებში – ფრიდრიხ ნაუმანის სახელობის ფონდის კონსულტანტი საქართველოში;

2008 წლიდან დღემდე სსიპ – ილიას უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს ევროპათმცოდნეობაში;

2012 წლის იანვრიდან 2012 წლის ოქტომბრამდე იყო აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე;

2006-2012 წლებში – ლიბერალური აკადემია თბილისის (LAT) დირექტორი;

2012-2016 წლებში იყო სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში;

2016 წლის 1 აგვისტოს დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო მინისტრად შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში;

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს;

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.